ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 მარტი, შაბათი, 1987 წ.
№ 51 (9462) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვაყენებთ წინადადებას!

# სახელმწიფო მიღება? რატომაც არა

სპორტი და სახელმწიფო მიღება! ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ არის ამაში რაღაც მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი. იქ, სადაც სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი თანხები იხარჯება, უკუგებაც შესაბამისი უნდა იყოს, მაგრამ სპორტში მთელი სერიოზულობით ჯერაც არ დამდგარა გაწეული მუშაობის უკუგებით შეფასების საკითხი. როგორც ბავშვთა, ისე დიდ სპორტში დღეს ასობით და ათასობით სპეციალისტი მუშაობს, ათი ათასობით და ასი ათასობით მანეთი იხარჯება სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატებისათვის. იქნებ დადგა დრო, პროდუქციის სახელმწიფო მიღების პრინციპი სპორტშიც გავატაროთ? სადავო რა არის, სადაც ფული იხარჯება, იქ პასუხისმგებლობაც უნდა იყოს, პასუხისმგებლობა პროდუქციის როგორც ხარისხის, ისე რაოდენობისათვის. რით არ არის სპორტში მიღწეული შედეგები გაწეული შრომის პროდუქტი? რა თქმა უნდა, არის. თუ ასეა, მაშინ იქნებ საგანგებო კრიტერიუმებიც შევიმუშაოთ. წინასწარ ძნელია თქმა, რა და როგორ, მაგრამ ერთი უდავოდ ცხადია: სპორტული სკოლები, სპორტული ჯგუფები და სექციები უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. მათი მუშაობა საბოლოო შედეგით უნდა შეფასდეს, და ამისთვის აუცილებლად უნდა შეიქმნას რაღაც ერთიანი სისტემა. რატომ არ უნდა დავნერგოთ თუნდაც სახელმწიფო მიღების საყოველთაოდ დამკვიდრებული პრინციპები? საგანგებო კომისია ყოველი წლის ბოლოს ეწვევა ამა თუ იმ რანგის ყველა სპორტულ სკოლას და ობიექტურად შეაფასებს წლის მონაგარს. თქვენ რას იტყვით? მოდით, ერთად ვიმსჯელოთ, მოგვწერეთ, გაგვიზიარეთ თქვენი წინადადებები, ერთად ვიფიქროთ და ერთად გამოვიტანოთ დასკვნებიც. ამას მოითხოვს დღევანდელობა, ქართული სპორტის აწმყო და მომავალი.

ველით თქვენს გამოხმაურებას!

## ვლადიმერ გაბრიჩიძე — სსრ კავშირის ჩემპიონი

ჩოგბურთელთა საკავშირო ზამთრის ჩემპიონატზე ჩვენმა თანამემამულემ ვ. გაბრიჩიძემ მოსკოველ ა. ოლხოვსკისთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში დაამარცხა ა. ზვერევ — ს. ლეონიუკის დუეტი და ქვეყნის ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა.

● **საქართველოს სპორტსახკომში** გაიმართა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ჩატარების რესპუბლიკური შტაბის მორიგი სხდომა. მოისმინეს აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. კვაჭაძის ინფორმაცია ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებებისათვის ბათუმში მზადების შესახებ.

სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს გუნდებთან საშეფო მუშაობის საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გვახარია. ამავე საკითხზე გაწეული მუშაობის ანგარიში გააკეთა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსმა მ. მნათობიშვილმა. ეს სამინისტრო თამაშების მონაწილე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ოთხ ნაკრებ გუნდს უმასპინძლებს.

● **როგორც ვიუწყებოდით,** 10 მარტს დიდი ფეხბურთიდან საზეიმოდ გააცილეს სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს" გუნდის წევრი ვლადიმერ გუცაევი. გაცილების ცერემონიალი „დინამოს" სტადიონზე მოეწყო.

12 მარტს ვ. გუცაევი საქართველოს სპორტსახკომში მიიწვიეს. სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ხაზი გაუსვეს გუცაევის დიდ დამსახურებას და მადლობა გადაუხადეს სპორტსმენს ქართული ფეხბურთის წინსვლასა და წარმატებებში შეტანილი დიდი წვლილისთვის. ამასთან, შეხვედრისას საუბარი იყო ვლადიმერ გუცაევის მომავალ საქმიანობაზე, სხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე. გამოითქვა რწმენა, რომ იგი თავის მდიდარ გამოცდილებას მომავალშიც სპორტს მოახმარს.



## წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი

# ჩვენი ბურევესტნიკელები ფინალში იასპარეზებენ

სასიხარულო ცნობა მივიღეთ გორკიდან. წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირის ფინალში გავიდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდი „ბურევესტნიკი". ჩვენმა წყალბურთელებმა გამარჯვებით დაამთავრეს შეხვედრები მოსკოვის „უნივერსიტეტთან" (13:9) და ზლატოუსტის „ზლატაუსთან" (16:2) და მხოლოდ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის წარმომადგენლებთან დამარცხდნენ (5:8).



**მოსკოვი.** კვირას უნივერსალურ სპორტდარბაზ დრუჟბაში დამთავრდა ჩოგბურთელ ვაჟთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. ფინალში მოსკოველმა ალექსანდრე ზვერევმა თანაქალაქელ ანდრეი ჩესნოკოვს აჯობა (7:5, 6:3) და პირველი ადგილი დაიკავა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ალექსანდრე ვოლკოვმა (კალინინგრადი) ალექსანდრე დოლგოპოლოვი დაამარცხა (7:6, 6:3).

## ციტატა




ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ 18 წლის თბილისელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ პირველი შეხვედრა წააგო გამოცდილ ა. ვოლკოვთან. ცხადია, ამის შემდეგ მას მეცხრეზე უკეთეს ადგილზე გასვლა აღარ შეეძლო. აი, რას წერს ამის შესახებ „სოვეტსკი სპორტში" ა. პატრიკეევი (13 მარტი, № 60). წერილის სათაურია „გვარდიელები და ახალწვეულები".

„...მაშ, ასე, ერთმანეთს ხვდებიან გაბრიჩიძე და ჩერკასოვი. პირველ წრეში ორივემ წააგო და მეცხრე ადგილზე წინ ველარ წავლენ. მაგრამ განა მატჩის მნიშვნელობა სატურნირო კონიუნქტურით განისაზღვრება? ამ ორთაბრძოლას უყოყმანოდ შეიძლება მიენიჭოს პრიზი სილამაზისთვის.

რის ხილვას ისურვებდით ჩოგბურთის არსენალიდან? შორი მანძილიდან მძლავრი დარტყმა უფრო მოგწონთ თუ ბადესთან გასვლა? კროსით „მოტყუება" თუ ხაზზე თამაში? ვერაგი „ჩახვეული სანთლები" თუ მოუგერიებელი ბურთები? აირჩიეთ, რომელიც გნებავთ. მერე როგორ იბრძვიან სპორტსმენები, ზოგჯერ ყოვლად „უიმედო" ბურთებსაც რომ იღებენ! არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ჩოგბურთელთა ქცევაც. აი, გაბრიჩიძემ განუმეორებელი ნახტომით, ისეთი ნახტომით, ფრენბურთშიც რომ ხშირად ვერ იხილავ, ლამაზად მოიგერია ბურთი და ჩერკასოვი ტაშით აჯილდოებს მეტოქის ოსტატობას; აი, მსაჯი შეცდა. მეტოქენი თავაზიანად, არბიტრის მონაწილეობის გარეშე უთანხმდებიან ერთმანეთს ორი ბურთის გადათამაშებაზე... ერთი სიტყვით, სარბიელზე იყო ორი ჯენტლმენი. გამარჯვება გაბრიჩიძეს დარჩა — 7:5, 6:2...."



**თბილისში** გრძელდება ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საქალაქო სპარტაკიადა. ფოტოსურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, აღბეჭდილია თბილისის № 1 და № 2 სამედიცინო სასწავლებლების გოგონათა გუნდების შეხვედრის ფრაგმენტი. კალათბურთელთა შეჯიბრებაში სულ 11 კოლექტივი მონაწილეობს.

## საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში




# ლიდერთა ჯგუფი შემჭიდროვდა

დებ მელაშვილებს ლიდერთა პოზიციის შენარჩუნებაში ხელი ვერ შეუშალა V ტურში დაკარგულმა ქულებმა — ქეთევანი ციური კობაიძემ დაამარცხა, ნინო კი ლია სადუნიშვილს დაუზავდა. VI ტურში ორივე დამ გამარჯვება იზეიმა. ნინომ ლელა თანდაშვილს მოუგო, ქეთევანმა — მაია ხუციშვილს. V ტურში ზედიზედ მესამე ქულა ჩაიწერა ციალა ქასოშვილმა, რომელმაც გიული ალიხანაშვილს მოუგო, მაგრამ მომდევნო დღეს მისი წინსვლა ალა ჩაიკოვსკაიამ შეაჩერა — ვეტერანმა მოჭადრაკემ პირველი მარცხი აწვნია ერთ-ერთ ლიდერს. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: V ტური. განიაშვილი — ლანჩავა — 0:1, კახიანი—ხუგაშვილი — 1:0, ტერელაძე — ნიკოლაძე — 0,5:0,5, ლაგვილავა — მახარაძე — 1:0. ხუციშვილ — ჩაიკოვსკაიას პარტია გადაიდო. VI ტური: ხუგაშვილი—ტერელაძე — 1:0, ალიხანაშვილი — განიაშვილი — 1:0, სადუნიშვილი — კობაიძე — 0:1. გადაიდო ნიკოლაძე — ლაგვილავასა და ლანჩავა — კახიანის პარტიები.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ნინო მელაშვილს 5 ქულა აქვს, ქეთევან მელაშვილს — 3,5 (ხუთიდან), ციური კობაიძეს, თამარ ხუგაშვილს, თეა ლანჩავას (ხუთიდან) და ციალა ქასოშვილს (ხუთიდან) — 3-3 (1-1). ქეთევან კახიანს — 3 (4-დან).

## ელვა-ინფორმაცია

**გაიმართა** კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირის ბოლო მატჩები: „ტრეისერი" (იტალია) — „ზადარი" (იუგოსლავია) 106:85 (51:40), „მაკაბი" (ისრაელი) — „რეალი" (ესპანეთი) 89:82 (49:36). სუპერფინალში, რომელიც 2 აპრილს ლოზანაში ჩატარდება, „ტრეისერი" და „მაკაბი" ითამაშებენ.

# დაჯილდოება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში წვლილისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ თამაშობათა კათედრის უფროსი მასწავლებელი ლევან გიორგის ძე ფალავანდიშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**მუშაობაში** პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ საკავშირო სპორტსახკომის პასუხისმგებელ მუშაკთა ჯგუფი და ცალკეული სპეციალისტები. საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ სტუმრებმა ჩაატარეს თეორიული და პრაქტიკული სემინარები—ჭიდაობის ცალკეული სახეობის, აგრეთვე ფარიკაობის და კრივის მწვრთნელებთან. ისინი ეცნობიან აგრეთვე სპორტულ ბაზებს, ჩავლენ ბორჯომში და ბაკურიანში.

**სურათზე:** ფალავანთა კლუბში შეკრებილ მწვრთნელებთან მეცადინეობას ატარებს საკავშირო სპორტსახკომის ორთაბრძოლების სამმართველოს უფროსი გენადი საპუნოვი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მრწამსი-შეტევა

**გულშემატკივრებმა** იციან, რომ უმაღლესი ლიგის რეგბისტთა წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს სამი გუნდი იასპარეზებს — ქუთაისის „მშენებელი", თბილისის „ლოკომოტივი" და „შევარდენი". რეგბის მოყვარულებს ეს გუნდები, რა თქმა უნდა, ერთმანეთში არ გამოგვერჩევა, მაგრამ მაინც „ლოკომოტივის" ბედი განსაკუთრებით გვაღელვებს — ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ერთ დროს ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი, ქართული რეგბის ლიდერი უკვე მერამდენედ სეზონს უსახელოდ ამთავრებს — უმაღლეს ლიგაში დასარჩენად „ბ" ფინალურ ტურნირში იბრძვის. შარშან, მაგალითად, აქაც ისე უხეიროდ იასპარეზა, რომ კინაღამ უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა. „ლოკომოტივის" ახლადდანიშნულ უფროს მწვრთნელს თამაზ მგელაძეს, ბუნებრივია, თავდაპირველად გუნდში მომხდარ ცვლილებებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

— გუნდის ხელმძღვანელებიდან დავიწყებ, — გვითხრა მან. — შარშან გუნდში უფროსი მწვრთნელის პოსტზე დროებით მოვლინებული საქართველოს სპორტსახკომის რეგბის მთავარი მწვრთნელი დავით კილასონია შევცვალე. მეორე მწვრთნელად კვლავ გურამ მოდებაძე მუშაობს. ადმინისტრატორია გიზო მონიავა. გუნდს ახალი უფროსი ჰყავს — ძველი დინამოელი მურად თოფურიძე. გვყავს კიდევ ერთი ახალი მწვრთნელი ლექსო ბურნაძე, რომელიც გუნდის ფიზიკურ მომზადებას უხელმძღვანელებს. იგი ისე შეეთვისა კოლექტივს, რომ ჩვენთან ალბათ კიდევ დიდხანს ითანამშრომლებს.

ნუკრი წიკლაურის გარდა, რომელიც „შევარდენში" გადავიდა, გუნდის ღირსებას დაიცავენ ისინი, ვინც შარშან ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ითამაშა. გარდა ამისა, დაგვიბრუნდნენ ვოვა პეტუხოვი და „შევარდენის" ყოფილი მორკინალი მევლუდ ბებიაშვილი, სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული თამაზ ხუადე, კოკა კლდიაშვილი, ალეკო ხვედელიძე. თბილისის „სპარტაკიდან" მივიღეთ გიორგი ძაგანელი, ლევან ჩიქვინიძე, თემურ ნარიმანიძე. წელს სამხატვრო აკადემიის იმ რეგბისტების იმედიც გვაქვს, რომლებიც შარშან ვერ გამოვიყენეთ მინდორზე. სხვათა შორის, გვინდა შევქმნათ სათადარიგო გუნდი „ელმავალი", რომელიც სისტემატურად ითამაშებს ქალაქისა და რესპუბლიკის ჩემპიონატებში. მომავალი ლოკომოტიველები სწორედ აქ უნდა დაოსტატდნენ.

**● სეზონისათვის როგორ ემზადებოდით?**

— თავდაპირველად გუნდის ყველა წევრმა ლექსო ბურნაძის მეთვალყურეობით თბილისში გაიარა ფიზიკური მომზადების ორთვიანი ციკლი. შემდეგ ორი კვირის განმავლობაში კისლოვოდსკში ვვარჯიშობდით. კისლოვოდსკიდან „ლოკომოტივის" დიღმის ბაზაზე დავბრუნდით, რომელმაც ოთხი წლის შემდეგ კვლავ გაგვიღო კარი. ამ ბაზაზე, სადაც „ლოკომოტივი" და „ელმავალი" დამკვიდრდება, ვაპირებთ ჩამოვაყალიბოთ ნორჩ რეგბისტთა სკოლა, რომელსაც ძველი ლოკომოტიველი მერაბ ანთაძე უხელმძღვანელებს.



ჩემის აზრით, კონკურენცია ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად საკმაოდ მწვავე იქნება: მორკინალის 8 ადგილზე 19 პრეტენდენტი გვყავს, უკანა ხაზის 7 ადგილზე კი 16 მოთამაშე. ჩავატარებთ საწვრთნელი მატჩების სერიასაც, რომელშიც ყველა მოთამაშე წინასწარ დადგენილი განრიგის მიხედვით ითამაშებს და თავის გამოჩენის საშუალებაც მეტი ექნება. ასეთ მატჩებს 3-4 დღეში ერთხელ გავმართავთ.

**● მიმდინარე სეზონში რა მიზანს ისახავთ?**

— გვინდა შევქმნათ ისეთი ბრძოლისუნარიანი, თავმოყვარე, ლაღად მოთამაშე კოლექტივი, რომელიც თბილისურ რეგბის სახელოვან ტრადიციებს დაუბრუნებს. ცხადია, ჯერჯერობით, საუკეთესოთა შორის ვერ მოვხვდებით. IX ადგილზე მაინც უნდა გავიდეთ, თუ გვინდა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეგვინარჩუნდეს.

**● თქვენის აზრით, წინათ რით ვჯობნიდით მეტოქეებს და ახლა რაში ჩამოვრჩებით მათ?**

— წინათ თბილისის გუნდების მოთამაშეთა უმეტესობა, განსაკუთრებით უკანა ხაზებისა, საკავშირო მასშტაბით პირველი თუ არა, მეორე-მესამე მაინც იყო ოსტატობით. ახლა, უკეთეს შემთხვევაში, მეათე თუ იქნება. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი. რამ მიგვიყვანა აქამდე? ბოლო ათწლეულში რეზერვის მომზადებაში გამეფებულმა სრულმა განუკითხაობამ. ბავშვთა, მოზარდთა, სტუდენტთა გუნდები მრავლად გვყავს, მაგრამ რად გინდა, სავარჯიშოდ სტადიონზე არ უშვებენ და...

**● როგორია თქვენი სათამაშო მრწამსი?**

— რეგბის თამაშისას მთავარია შეტევა. თუ გუნდი მოედანზე მხოლოდ იმ მიზნით გამოდის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს მეტოქეს, მაშინ ისეთი სანახაობის მოწმენი ვხდებით, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ინგლისელების მიერ მოგონილ თამაშთან. აღსანიშნავია, რომ ინგლისსა და უელსში ქვეყნის ჩემპიონატები დღესაც არ იმართება. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაირღვეს რეგბის პრინციპი — შეტევა, რომ საქმეში არ ჩაერიოს ქულათა დაგროვებისათვის გამიზნული სტრატეგია. რეგბის მოთამაშეთა მიზანი ერთადერთი უნდა იყოს — მოგება, ესე იგი, ისევ და ისევ შეტევა. რა თქმა უნდა, წაგება არ უნდა იქცეს ტრაგედიად, მან უნდა დაბადოს ხელმეორედ თამაშისა და რევანშის აღების სურვილი, თავად შეჯიბრებამ კი — პატივისცემის გრძნობა მეტოქისა და მსაჯების მიმართ.

**● რამდენად ესადაგება თქვენი მრწამსი საკავშირო ჩემპიონატის პირობებს?**

— მისადაგება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ინგლისსა და უელსში ჩემპიონატს დააწესებდნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ტაქტიკას შევარჩევთ იმის მიხედვით, ვის ვეთამაშებით. თუ არ იარე ნათელი და რეალური მიზნისკენ, წინსვლა გაგიჭირდება.

**ზაალ გიგინეიშვილი.**

## SOS



# ფოტობრალდება

დახედეთ ამ ფოტოსურათებს! არ გეგონოთ, რომ ეს კადრები წყალდიდობით დაზარალებულ რაიონებშია გადაღებული. სურათებზე აღბეჭდილია თბილისის ზღვის ერთ-ერთი ყურე, სადაც ამ ბოლო ხანს იმდენი იალქნიანი ნავი და საკრეისერო კატარღა იყრის თავს, რამდენიც, როგორც ამბობენ, შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმშიც კი არ მოიძებნება. ეს — რაც ხმელეთზეა, ზღვის იმ ყურეში კი, სადაც თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს იახტკლუბია, კიდევ 32 ძვირადღირებული, სხვადასხვა კლასის ნავი დავთვალეთ. მათ შორის ისეთებიც, ხაზინათა ფულზე რომ არ იყიდება. ვის ეკუთვნის ისინი, რის ხარჯზე და როგორ შეიძინეს, ვინ ან რა უფლებით სარგებლობს ამ ნავებით, რამდენად მიზანშეწონილია ამდენი ნავის თავმოყრა ამ პატარა ყურეში, სადაც სპორტსმენებს მეცადინეობაში ხელი ეშლებათ? დაბოლოს, ვინ იძლევა გარანტიას წესრიგსა და უსაფრთხოებაზე? ამ საკითხებს დაწვრილებით ვსწავლობთ და საგანგებო წერილსაც მალე შევთავაზებთ მკითხველებს.



# № 700 ანგარიშზე

● ამ დღეებში წყალბურთში თბილისში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის I წრის II ტურის მატჩების მოსკოველმა მსაჯებმა 100 მანეთი გადარიცხეს დასავლეთ საქართველოში სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდში.

● წალენჯიხის სპორტკომიტეტისა და „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თანამშრომლებმა 140 მანეთი შეიტანეს მე-700 ანგარიშზე, — იტყობინება რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. მებონია.

● გორის „ავტოკემპინგის" მცირერიცხოვანმა კოლექტივმა, როგორც კემპინგის დირექტორი გ. მეყანწიშვილი გვწერს, დახმარების ფონდში 132 მანეთი შეიტანა.

## ენთუზიასტი მხარდაჭერას ითხოვს

# თუ სატურნირო გამოცდილებაც იქნება...

**ხშირად** ხდება ასე: წამოიწყებს ვინმე კეთილ საქმეს, მაგრამ მას მხარს არავინ აუბამს, ის კი არადა, არც კი ამჩნევენ, ზოგი ეჭვის თვალითაც უყურებს. თუ რწმენა და ნებისყოფა არ აღმოაჩნდა ამ კაცს, იტყვის: თურმე არავის სჭირდება, რასაც მე ვაკეთებ და რატომ ვიწუხებ თავსო. გიორგი ქიტესაშვილს შუა გზაზე არ მიუტოვებია საქმე, მით უმეტეს, ერთი თანამოაზრე და მხარში მდგომი მუდამ ჰყავდა. მისი პირველი მასწავლებელი ჭადრაკში, პროფესიით ავტოინჟინერი, ოსტატობის კანდიდატი აკაკი დურგლიშვილი ახლაც თავისი ნაშეგირდალის გვერდითაა და მასთან ერთად ამეცადინებს უფროს ჯგუფს გურჯაანის სპორტსკოლაში.

გიორგი ქიტესაშვილმა და მისმა ორმა დამ გურჯაანის პიონერთა სახლში ისწავლეს ჭადრაკის თამაში (წრეს აკაკი დურგლიშვილი ხელმძღვანელობდა). სამივემ იქ შეასრულა პირველთანრიგოსნის ნორმატივი. თელავის პედინსტიტუტში სწავლის პერიოდში გიორგი ოსტატობის კანდიდატი გახდა. სწავლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო გურჯაანის მე-3 სკოლაში და 1979 წელს აქ საზოგადოებრივ საწყისებზე ჭადრაკის წრე ჩამოაყალიბა. 1982 წლიდან 1984 წლამდე რკინიგზის კლუბში ავარჯიშებდა ნორჩ მოჭადრაკეებს, 1984 წელს კი გურჯაანის სპორტსკოლაში ჩააბარეს ჯგუფები, რომლებშიც ახლა სამოცამდე მოსწავლეა გაერთიანებული.

ქიტესაშვილის აღსაზრდელები რესპუბლიკურ სარბიელზე პირველად 1984 წელს გავიდნენ. ცხინვალში გამართულ მოსწავლეთა XXXII სპარტაკიადის შესარჩევ ტურნირზე, რომელშიც 24 გუნდი მონაწილეობდა, დებიუტანტისთვის X ადგილი ურიგო შედეგი არ იყო. აქედან დაიწყო აღმასვლა: XXXIII სპარტაკიადის ზონალური ტურნირი, ქ. გურჯაანი: IV ადგილი. ანალოგიურ შეჯიბრებაზე, რომელიც 1986 წელს კვლავ ცხინვალში გაიმართა, I ადგილი — 17 კოლექტივს შორის გურჯაანელებმა II ადგილზე გასულ გორელ მოსწავლეთა გუნდს 5 ქულით გაუსწრეს და სპარტაკიადის ფინალში საბოლოოდ VII ადგილი დაიკავეს. ამ შეჯიბრებებმა გამოაჩინა გურჯაანელ მოჭადრაკეთა ნაკლი — ენდშპილში სუსტი თამაში. მწვრთნელებმაც მუშაობა ძირითადად ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად წარმართეს და გამოასწორეს კიდეც მდგომარეობა. ყველაზე დიდი გამარჯვება ქიტესაშვილის შეგირდებმა გასული წლის აგვისტოში იზეიმეს: ვანში, IV საკავშირო საჭადრაკო ფესტივალზე 14 გუნდი შეიკრიბა. გურჯაანელებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს, მათ შორის საკავშირო ფესტივალების ორგზის ჩემპიონი ასტრახანის ძლიერი გუნდიც, 28 შესაძლებლიდან 22 ქულა მოაგროვეს და ფესტივალის ბროლის თასი მოიპოვეს. მეორე დაფაზე შვიდივე შეხვედრა მოიგო და ასპროცენტიანი შედეგისათვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა სოსო კვირიაშვილმა, პირველ დაფაზე 6,5 ქულით ჩემპიონი გახდა სოსოს თანაგუნდელი ლევან ნატროშვილი, მესამე დაფაზე 5,5 ქულით მეტოქეებთან I-II ადგილები გაიყო ბაბერ ჭიკაძემ.

„როგორც იცით, გარკვეული წარმატებები გვაქვს — გვიამბობს გიორგი ქიტესაშვილი, — დროის შედარებით მცირე მონაკვეთში აღვზარდეთ ექვსი ოსტატობის კანდიდატი, რვა პირველთანრიგოსანი, ოცდაათი მეორე და მესამე თანრიგოსანი. გვყავს ნიჭიერი მოზარდები, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ, მაგრამ იმედი რომ რეალობად ვაქციოთ, ამისათვის პირობებია საჭირო. ბავშვებმა რომ ოსტატობის დონე აიმაღლონ, პირველყოვლისა, მეტი უნდა ითამაშონ, სატურნირო გამოცდილება უნდა მიიღონ. რამდენიმე თვის მანძილზე ვარჯიში ვერ მისცემს მოზარდ მოჭადრაკეს იმ ცოდნას, რასაც ერთი შეჯიბრება იძლევა. ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ჩემი აღსაზრდელებიდან ყველაზე უკეთესებს უკვე შეუძლიათ ძლიერ მეტოქეებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ, მაგრამ რატომღაც ყურადღებას არ გვაქცევენ. ხვეწნა-მუდარა გვჭირდება, შეჯიბრებებზე რომ დაგვიშვან საკუთარი ხარჯებით. საქართველოს სპორტსახკომის ჭადრაკის განყოფილება დიდ სამსახურს გაგვიწევს, თუ კალენდარში ჩაგვსვამს და საშუალებას მოგვცემს წლის განმავლობაში რეგულარულად გამოვიდეთ რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე. ერთია თეორიული მეცადინეობა და სულ სხვა — სათამაშო პრაქტიკა. ამას წინათ ვანში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის მემორიალის შესარჩევ ტურნირში ჩემი მოსწავლე ლევან ნატროშვილიც მონაწილეობდა. მან III ადგილი და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. I ადგილი ასტრახანელმა ოსტატმა ახმედჯანოვმა დაიკავა. იგი და ერთი მისი კოლეგა ჩემს თხოვნას დაჰყვნენ და ტურნირის მერე გურჯაანში მესტუმრნენ. ხუთი დღის განმავლობაში ნორჩ მოჭადრაკეებთან რამდენიმე ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარეს, წაიკითხეს ლექციები ჭადრაკის ისტორიასა და პაიკების ენდშპილზე. დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრები და საუბრები უკვალოდ არ ჩაივლის, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ჩემს ასტრახანელ კოლეგებს. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ასეთი იშვიათი სტუმრების იმედად ხომ ვერ დავრჩებით? ცნობილ მოჭადრაკეებთან შეხვედრებს სისტემატური ხასიათი რომ მივცეთ, ამისთვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საჭადრაკო დარბაზია საჭირო. სპორტსკოლაში, სადაც ამჟამად ვატარებთ მეცადინეობებს, ჩამოწერილი სასკოლო მერხები დგას. მერხები ვიწროა და სათამაშოდ მოუხერხებელი, არ გვყოფნის საჭადრაკო დაფები და საათები. ცუდი გათბობის გამო ბავშვები პალტოჩაცმულები სხედან ოთახში. სპორტსკოლამდე, რომელიც ქალაქის ცენტრს საგრძნობლადაა დაშორებული, საქალაქო ტრანსპორტი არ მიდის, რაც დამატებით სიძნელეებს გვიქმნის. სულ მალე ჩვენი ქალაქის ცენტრში დასრულდება კულტურის სასახლის მშენებლობა. აი, აქ რომ გამოგვიყოფდნენ ადგილს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. დანარჩენი ჩვენ ვიცით..."

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.**

## ფეხბურთი




**სსრ კავშირის** საიუბილეო, 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები 3 დღეს გაგრძელდა. მოგვყავს ამ შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები:

**ცსკა — „დინამო" (მინსკი) 1:0 (1:0).** მატჩის ბედი გადაწყვიტა მინსკელი ზიგმანტოვიჩის მიერ საკუთარ კარში გატანილმა ბურთმა.

გააფრთხილეს არმიელი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 2:1.

**„ნეფთჩი" — „ტორპედო" 0:0.**

დუბლიორები — 1:0.

**„დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" 1:0 (1:0).** გოლი: დობროვოლსკი.

დუბლიორები — 1:1.

**„დნეპრი" — „ქაირათი" 0:0.**

გააფრთხილეს „ქაირათის" ფეხბურთელი ფეხლევანიდი.

დუბლიორები — 5:3.

**„არარატი" — „მეტალისტი" 1:0.** გოლი: სარქისიანი.

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელები პანჩიშინი და კუზნეცოვი.

დუბლიორები — 0:1.

**„შახტიორი" — „ზენიტი" 1:1 (0:1).** გოლები: სოპკო („შახტიორი"), კლემენტიევი („ზენიტი").

დუბლიორები — 1:1.

● **1987 წლის** საკავშირო ჩემპიონატის პირველი გოლი მე-15 წუთზე გაიტანა მინსკის დინამოელმა ა. ზიგმანტოვიჩმა. ეს იყო პირველი ავტოგოლიც.

● **გათამაშების** პირველი ფრე აღინიშნა ბაქოს „ნეფთჩისა" და მოსკოვის „ტორპედოს" შეხვედრაში — 0:0.

● **პირველი** ფეხბურთელი, რომელმაც ერთ მატჩში 2 ბურთი გაიტანა, მოსკოვის სპარტაკელი ფ. ჩერენკოვია.

● **პირველი** გაფრთხილება წლევანდელ ჩემპიონატში დაიმსახურა ცსკა-ს ფეხბურთელმა დ. კუზნეცოვმა.

● **თბილისის** „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში მინდორზე პირველად გამოვიდნენ ო. კორღალიძე და ვ. მიქაშავიძე.

● **უმაღლესი** ლიგის პირველი წრის მატჩებში 6 ფეხბურთელი გააფრთხილეს.

● **თბილისის** დინამოელმა რ. შენგელიამ საკავშირო ჩემპიონატებში თავისი 111-ე გოლი გაიტანა.

● **მოსკოვის** „ოლიმპიურის" დახურულ სპორტკომპლექსში ადგილობრივი „დინამოსა" და ვილნიუსის „ჟალგირისის" შეხვედრის წინ მოეწყო ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ დედაქალაქის ცსკა, „სპარტაკი", „ტორპედო", „დინამო". მინდორზე გამოვიდნენ წარსულის ცნობილი ოსტატები ი. ნეტო, ე. სტრელცოვი, კ. კრიჟევსკი, გ. ჰუსაინოვი, გ. გუსაროვი, ვ. ცარიოვი და სხვანი. მატჩის შესვენების დროს ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელებმა პასუხი გასცეს მაყურებელთა შეკითხვებზე. ყოველგვარი ასეთი სიახლე მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს.

• • •

გუშინ ერევანში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი. ადგილობრივმა „არარატმა" მიიღო მოსკოვის „ტორპედო":

თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.

## ევროპის ჩემპიონატის წინ

**1988 წელს** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში. რიგით ეს მერვე ჩემპიონატია, მანამდე ჩატარებული კონტინენტის პირველობები ასეთი შედეგებით დამთავრდა:

**1960 წელი (საფრანგეთი).** 1. სსრ კავშირი, 2. იუგოსლავია, 3. ჩეხოსლოვაკია, 4. საფრანგეთი.

**1964 (ესპანეთი).** 1. ესპანეთი, 2. სსრ კავშირი, 3. უნგრეთი, 4. დანია.

**1968 (იტალია).** 1. იტალია, 2. იუგოსლავია, 3. ინგლისი, 4. სსრ კავშირი.

**1972 (ბელგია).** 1. გფრ, 2. სსრ კავშირი, 3. ბელგია, 4. უნგრეთი.

**1976 (იუგოსლავია).** 1. ჩეხოსლოვაკია, 2. გფრ, 3. ჰოლანდია, 4. იუგოსლავია.

**1980 (იტალია).** 1. გფრ, 2. ბელგია, 3. ჩეხოსლოვაკია, 4. იტალია.

**1984 (საფრანგეთი).** 1. საფრანგეთი, 2. ესპანეთი. მატჩი მესამე ადგილისთვის არ ჩატარებულა.

1960 და 1964 წლებში ამ შეჯიბრებას ევროპის თასს უწოდებდნენ.

ევროპის VIII ჩემპიონატი 1988 წლის 10-25 ივნისს გაიმართება. როგორც შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტი იუწყება, თამაშები ჩატარდება 8 ქალაქში (დიუსელდორფი, ჰანოვერი, გელზენკირხენი, მაინის ფრანკფურტი, მიუნხენი, კიოლნი, შტუტგარტი, ჰამბურგი). 8 ფინალისტი ორ ჯგუფად დანაწილდება (4-4 გუნდი), ჯგუფებში თამაშები შედგება 10-18 ივნისს, ხოლო 21 და 22 ივნისს დანიშნულია ნახევარფინალური მატჩები. 21 ივნისს ჰამბურგში ერთმანეთს შეხვდებიან პირველი ჯგუფის გამარჯვებული და მეორე ჯგუფში მეორე ადგილზე გასული, ხოლო 22 ივნისს შტუტგარტში — მეორე ჯგუფის გამარჯვებული და პირველ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდები.

ფინალური მატჩი 25 ივნისს შედგება მიუნხენში.

ოფიციალურად გამოცხადდა ისიც, რომ კონტინენტის მომავალ ჩემპიონატზე მსაჯთა ბრიგადებს ყოველ მატჩზე მხოლოდ ერთი ქვეყნის წარმომადგენლებით დააკომპლექტებენ. ეს კეთდება იმ მოსაზრებით, რომ მინდორზე მყოფ არბიტრსაც და მის დამხმარეებსაც თამაშის წესების ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია ჰქონდეთ.

ევროპის ჩემპიონატის ყოველი მატჩის შემდეგ თითოეული გუნდის ორ-ორ წევრს საექიმო კომისია შეამოწმებს.

## საქართველოს პირველობა

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში გაიმართა I ტურის გამოტოვებული 3 მატჩი: „დურუჯი" (ყვარელი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:2, „არმაზი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:0.

## წილისყრის ახალი წესი

**ევროპის** ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა საინტერესო კორექტივი შეიტანა კონტინენტის ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის წილისყრის სისტემაში.

ცნობილია, რომ სამივე ამ ტურნირში წილისყრის დროს ორგანიზატორები მხედველობაში ღებულობდნენ მონაწილე გუნდების სიძლიერეს, ცნობილი, ძლიერი კლუბები პირველ წრეში ერთმანეთს არ ხვდებოდნენ, რათა ამით გაადვილებული პირობები არ შეექმნათ სუსტებისთვის. მაგრამ ეს ხდებოდა მარტო პირველ წრეში, უეფა-მ კი დაადგინა, რომ ამგვარი წესით განთესვა ამიერიდან მოხდება შემდგომ ეტაპებზეც.

უეფა-ს ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ სწორედ ამის გამო შეხვდნენ ჩემპიონთა თასის ნაადრევ ეტაპზე, მერვედფინალში, ერთმანეთს იტალიის „იუვენტუსი" და მადრიდის „რეალი". ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, „იუვენტუსი", გამოეთიშა შეჯიბრებას მაშინ, როცა, ამ კლუბების შეხვედრა რომელიმე დასკვნით ეტაპზე გაცილებით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა.

უეფა-მ დაადგინა ძლიერთა რიგებს ის გუნდები მიაკუთვნონ, რომლებმაც სამივე ამ ევროპული ტურნირის გათამაშებაში ნახევარფინალს მიაღწიეს ბოლო ხუთი სეზონის მანძილზე.



## ფინალების დღეები დადგინდა

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ განსაზღვრა საკონტინენტო ტურნირების ფინალურ შეხვედრათა დღეები.

**ჩემპიონთა თასის** ფინალური მატჩი 27 მაისს შედგება ვენაში.

**თასების მფლობელთა თასის** ფინალი 13 მაისს გაიმართება ათენში.

**უეფა-ს თასის** ფინალისტები ორ მატჩში შინ და სტუმრად, ერთმანეთს შეხვდებიან 6 და 20 მაისს.

## მსოფლიო ჩემპიონის პატივისცემით

მიკ კუინი („პორტსმუტი") ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ლიგის ყველაზე უფრო შედეგიანი სნაიპერია, მაგრამ მან მარტო გოლების გატანით როდი მიიპყრო ყურადღება. როგორც ინგლისის გაზეთები წერენ, მ. კუინი პოლიციამ დააკავა და გააფრთხილა მანქანის უნებართვოდ ტარების გამო. მართვის უფლების არქონისთვის მას სამკვირიანი პატიმრობა ელოდა, მაშინ პოლიციას თხოვნით მიმართა „პორტსმუტის" მწვრთნელმა, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონმა ალან ბოლმა.

ამ პოპულარულ პიროვნებას პოლიციამ ანგარიში გაუწია და ფეხბურთელი დაპატიმრებას გადაურჩა, მაგრამ მან დიდი ფულადი ჯარიმა გადაიხადა.

## „ელ პაისის" ანკეტით

ურუგვაის გაზეთმა „ელ პაისმა" სპეციალური ანკეტა დაურიგა ცნობილ სპორტულ მიმომხილველებს ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველაზე უფრო პოპულარული კლუბების გამოვლენის მიზნით. აი, ამ თავისებური კონკურსის შედეგები:

**არგენტინა** — ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტე", **ბრაზილია** — „სან-პაულუ", **ურუგვაი** — მონტევიდეოს „ნასიონალი", **მექსიკა** — „გვადალახარა", **კოლუმბია** — კალის „ამერიკა", **პერუ** — ლიმას „ალიანცა", **ბოლივია** — „ბოლივარი", **პარაგვაი** — „სოლ დელ ამერიკა", **ვენესუელა** — ტაჩირის „დეპორტივო", **ჩილი** — „უნივერსიდად კათოლიკა", **კოსტა-რიკა** — „ლიგა დეპორტივა".

## დღეს ტელევიზიით

**საქართველოს** ტელევიზია დღეს ლანჩხუთიდან პირველი პროგრამით გადასცემს ადგილობრივი „გურიისა" და მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა საკავშირო მატჩის რეპორტაჟს. ტრანსლაცია დაიწყება 19 საათზე.

დღესვე თურქეთში შედგება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი სტამბულის „ბეშიქთაშსა" და კიევის „დინამოს" შორის.

ეს საინტერესო მატჩი დღისით გაიმართება, თამაშის ვიდეოჩანაწერს კი საკავშირო ცენტრალური ტელევიზია გადასცემს 18 საათსა და 20 წუთიდან თბილისის დროით. როგორც ხედავთ, ეს ორი გადაცემა ერთმანეთს ემთხვევა, ამიტომ საქართველოს ტელევიზია „ბეშიქთაშისა" და კიევის „დინამოს" შეხვედრის **მეორე ტაიმს** გადასცემს გვიან ღამით, პროგრამით აღნიშნულ გადაცემათა შემდეგ.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ლიდერს გაუჭირდა

**მოსკოვი.** 12 მარტს აქ უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩში დედაქალაქის არმიელებმა რიგის ვეფ-ს უმასპინძლეს. პირველი ტაიმი ლატვიელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 59:57. ბრძოლა შესვენების შემდეგაც უაღრესად მძაფრი და დაძაბული იყო. ცსკა-მ გაიმარჯვა მხოლოდ I ქულის სხვაობით — 100:99.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 12 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 36 | 29 | 7 | 3406-2894 | 65 |
| „ჟალგირისი" (კაუნ.) | 35 | 23 | 12 | 3077-2919 | 58 |
| „დინამო" (თბილისი) | 35 | 20 | 15 | 2711-2871 | 55 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 34 | 20 | 14 | 2811-2746 | 54 |
| „შახტიორი" (დონ.) | 35 | 18 | 17 | 2819-2842 | 53 |
| ვეფ (რიგა) | 35 | 13 | 22 | 3058-3195 | 48 |

# მეორე ეშელონი

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მატჩები იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან.

**ალმა-ათა.** ადგილობრივმა არმიელებმა ერთი კვირის განმავლობაში შინ ოთხი შეხვედრა ჩაატარეს: ორი — მოსკოვის დინამოელებთან და ორიც — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებთან, სწორედ ამ მიკრო-მატჩებში შეეძლოთ ალმაათელებს სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება, შეეძლოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ოთხი შეხვედრიდან ორი მოიგეს და ორიც — დათმეს. ცხრილში ისინი ისევ ბოლო ადგილზე იმყოფებიან, თუმცა ორი შეხვედრით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

3 და 4 მარტს ალმა-ათის არმიელები მოსკოვის „დინამოს" შეხვდნენ. პირველი მატჩი სტუმრებმა მოიგეს — 88:84, მეორე მასპინძლებმა — 96:87.

ორდღიანი შესვენების შემდეგ მათ უკვე მინსკის რტი-ს უმასპინძლეს. მეტოქეებმა ამჯერადაც თანაბრად გაიყვეს ქულები. პირველ შეხვედრაში გამარჯვება არმიელებს დარჩათ — 78:70, მეორეში ბელორუსიის კალათბურთელებს — 99:94.

**კიევი.** ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „სტროიტელს" ამ ჩემპიონატში ხელი მოეცარა და ახლა მისთვის უჩვეულო ამოცანის გადაჭრას ცდილობს — როგორმე თავი დააღწიოს საშიშ ზონას. 7 და 8 მარტს „სტროიტელი" კიევის არმიელთა კოლექტივს — თავის ძველსა და მუდმივ კონკურენტს ხვდებოდა, რომელსაც დღესდღეობით გათამაშების ცხრილში სხვებზე უკეთესი მდგომარეობა აქვს. ამ მდგომარეობის შენარჩუნება არმიელებს გულით და სულით სურდათ, მაგრამ ამჯერად „სტროიტელმა" იმარჯვა და ორივე შეხვედრა მოიგო (პირველი — ანგარიშით 99:86, მეორე — 85:79).

„სტროიტელი" ჯერჯერობით მეთერთმეტე ადგილზეა, მაგრამ მას მარაგში ორი შეხვედრა აქვს. წარმატების შემთხვევაში კიეველებს შეუძლიათ მოსკოვის „დინამოს" დაეწიონ.

**მოსკოვი.** შინ ვერც დინამოელებმა მიაღწიეს აბსოლუტურ შედეგს, განსაკუთრებით სუსტად ჩაატარეს მათ ვილნიუსის „სტატიბასთან" პირველი მატჩი — 88:101. „დინამომ" მეორე დღეს რევანში აიღო (106:82), მაგრამ ლიდერს — კიევის არმიელთა კოლექტივს მაინც ვერ დაეწია. ახლა მათ ერთმანეთს მხოლოდ ქულა აშორებს.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 34 | 16 | 18 | 50 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 34 | 15 | 19 | 49 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 34 | 14 | 20 | 48 |
| რტი (მინსკი) | 34 | 13 | 21 | 47 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 32 | 13 | 19 | 45 |
| ასკ (ალმა-ათა) | 32 | 11 | 21 | 43 |

# ქალთა კიდევ ერთი დათვალიერება

**ექვს** დღეს მასპინძლობდა თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ხელბურთის სპორტული სკოლა 1971-1972 წლებში დაბადებულ მოსწავლე გოგონათა რესპუბლიკის ჩემპიონატს.

ეს შეჯიბრება გახლდათ ნაკრები გუნდის კანდიდატთა სპორტული ოსტატობის შემოწმების კიდევ ერთი ეტაპი სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების წინ, რომელიც, როგორც ცნობილია, თბილისში ივლის-აგვისტოში გაიმართება.

რა გვიჩვენა ასპარეზობამ?

პირველი და უმთავრესი: წინა წლებთან შედარებით გაზრდილა მწვრთნელთა პასუხისმგებლობა საქმისადმი. ჩანს, მზადების პერიოდში ადგილებზე სწორად მიმდინარეობდა სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. ამაში გვარწმუნებს ბევრი გუნდის და მათი თითოეული წევრის სწრაფვა სიახლისადმი. მწვრთნელები აღარ კმაყოფილდებიან დაცვა-თავდასხმაში თამაშის ტრადიციული სისტემით. ისინი უფრო ეფექტურ გზებს ეძებდნენ გამარჯვების მისაღწევად.

სამწუხაროდ, ამჯერად თავი ვერ გამოიჩინეს სამტრედიელმა (მწვრთნელი თ. ლომსაძე), რუსთაველმა (ლ. ბროძელი) და ფოთელმა (დ. რუსაძე) გოგონებმა, რომლებიც არა მარტო ფიზიკურად, არამედ ტექნიკურადაც სუსტად იყვნენ მომზადებული. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ფოთელთა გუნდი, რომელიც ახლო წარსულში თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა კოლექტივის ენერგიული „მომმარაგებელი" იყო. სამწუხაროდ, ამჯერად გუნდის შემადგენლობაში ვერც ერთი პერსპექტიული მოთამაშე ვერ ვიხილეთ. ეტყობა ამ ზღვისპირა ქალაქში ძველებურად აღარ უყვართ ხელბურთი. სამაგიეროდ სპორტის ამ სახეობას ყურადღება მიაქციეს წყალტუბოში, სადაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ენთუზიასტი-მწვრთნელი როინ მეტრეველი. ბოლო წლებში წყალტუბოელი გოგონები წარმატებებით გვახარებენ თითქმის ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში — თბილისელთა შემდეგ იკავებენ ადგილს. ამავე დროს წყალტუბო ჩვენს ნაკრებ გუნდებსაც აწვდის ძალებს. წყალტუბოელებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და კვლავ მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

კარგად იასპარეზეს სოხუმისა (მწვრთნელი თ. ჩუთლაშვილი) და სამხრეთ ოსეთის (მწვრთნელი ო. ჯიოევი) გუნდებმაც. სოხუმელთა რიგებში ამჯერად რესპუბლიკის ნაკრები გუნდის 4 კანდიდატი იყო და ამიტომ არავის გაკვირვებია გუნდი მესამე საპრიზო ადგილზე რომ გავიდა, მაგრამ სოხუმელთა ბრძოლისუნარიანობამ და გამარჯვებისადმი სწრაფვამ მოლოდინს გადააჭარბა. იგივე ითქმის სამხრეთ ოსეთის გუნდზეც, თუმცა ამ კოლექტივს მეტის გაკეთება შეეძლო.

მეტს მოველოდით ქუთაისელი (მწვრთნელი გ. გურულიშვილი) და აჭარელი (მწვრთნელი შ. წიტაიშვილი) ხელბურთელებისგან.

მოსწავლეთა 1989 წლის XVIII საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების მიზნით ასპარეზობაზე დაუშვეს 1973-1974 წლებში დაბადებულ თბილისელ მოსწავლეთა ნაკრები (მწვრთნელი თ. ჩხაიძე). ცხადია, გუნდის თამაშის ავ-კარგზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მარტო მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში 13-14 წლის გოგონებისათვის კარგი გაკვეთილი იყო. გუნდი დაკომპლექტებულია პერსპექტიული ხელბურთელებით და იმედია, რომ მომავალში იგი ისეთ კოლექტივად იქცევა, რომელიც საკავშირო სარბიელზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწევს.

კარგია, რომ რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ ასეთ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. მაგრამ მთავარი ამოცანა ჯერ კიდევ გადასაჭრელია — იმისათვის, რომ რესპუბლიკის ნაკრები საკავშირო თამაშებზე წარმატებით გამოვიდეს, მწვრთნელებს დიდი გარჯა მართებთ. საქმე ის არის, რომ ბრძოლა უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და პროფკავშირთა ნაკრები გუნდების ხელბურთელებთან, რომლებთანაც ჩვენი გუნდი ერთ ქვეჯგუფში იასპარეზებს, არც ისე ადვილი იქნება.

**ჯემალ აბაიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩი

# მეექვსე პარტია

როგორც იცით, ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის მატჩის VI პარტიაში, რომელიც ორჯერ იყო გადადებული, სოკოლოვმა თამაშის განუახლებლად ცნო თავი დამარცხებულად. გთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს.

ა. კარპოვი — ა. სოკოლოვი

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. g3 კa6 5. b3 კb4+ 6. კd2 კe7 7. მc3 d5 8. cd მ:d5 9. მ:d5 ed 10. კg2 მd7 11. 0—0 0—0 12. ეc1 ეe8 13. ეe1 c5 14. კe3 კb7 15. კh3 cd 16. კ:d4 მf6 17. ეc2 კb4 18. ეf1 კa6 19. მh4 კf8 20. მf5 მe4 21. მe3 ლd6 22. ლc1 ეad8 23. ეd1 ლh6 24. კg2 მg5 25. ლb2 მh3+ 26. მფf1 მg5 27. მფg1 მh3+ 28. მფf1 მg5 29. h4 მe4 30. მg4 ლe6 31. კh3 კa3 32. ლ:a3 კ:e2+ 33. ე:e2 მ:g3+ 34. მფg2 ლ:e2 35. ლc1 მh5 36. მფh2 ეd6 37. ლd2 ლf3 38. მe5 ლf4+ 39. ლ:f4 მ:f4 40. კd7 ეd8 41. კb5 მe6 42. კb2 a6 43. კf1 ეc8 44. ეd2 d4 45. კg2 მf4 46. კf3 d3 47. მc4 ეh6 48. მფg3 მe2+ 49. კ:e2 de 50. ე:e2 b5 51. მe3 ეe6 52. ეd2 h5 53. მფf4 ეc7 54. ეd5 f6 55. კa3 g6 56. კc5 მფf7 57. b4 მფe8 58. ეd1 ეd7 59. ეa1 ეd2 60. მფf3 მფf7 61. a4 ba 62. ე:a4 g5 63. ეa3 მფg6 64. მფg2 gh 65. მf1 ეc2 66. მh2 ეc4 67. მf3 მფf7 68. მფh2 ეf4 69. მფg2 ეe4 70. მd2 ეe6 71. მf1 ეg4+ 72. მფh3 ეf4 73. ეa2 ეf3+ 74. მფg2 ეc3 75. მe3 მფg6 76. ეa1 f5 77. მფh2 f4 78. ეg1+ მფf7 79. მg2 ეc6 80. მ:f4 ეf3 81. მh3 მფf6 82. ეe1 ეf5 83. ეe4 a5 84. კc3 ab 85. ე:b4 ეa6 86. ე:h4 ეa5 87. ეc4 ეfb5 88. მფg3 ეa8 89. მფh4 ეg8. თამაშის განუახლებლად შავებმა თავი დამარცხებულად ცნეს.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4,5:2,5 მსოფლიოს ექსჩემპიონის სასარგებლოდ. ცნობილი გახდა, რომ ანდრეი სოკოლოვმა ტაიმ-აუტი აიღო, მატჩის VIII პარტია დღეს, 14 მარტს უნდა გათამაშდეს.

# პირველ ლიგაში

**სამტრედია** (ტელეფონით, „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატმა ეკვატორს მიაღწია. ლიდერმა, თბილისელმა ზაზა ხოფერიამ კიდევ ერთი ქულა მიუმატა თავის აქტივს — VIII ტურში ცხაკაიელი გოჩა ტყებუჩავა დაამარცხა. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: გოგიჩაიშვილი-მანაგაძე — 0,5:0,5, ტაბატაძე-ლომჯანიძე — 1:0, ლეჟავა-ჩაჩიბაია — 0,5:0,5, გოგოლაძე-ლეკვეიშვილი — 0:1, ხეცურიანი-სიჭინავა — 1:0, თეიმურაზიანი-პოპოვი — 0,5:0,5, ნეჩაევი-შალამბერიძე — 0:1.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ ზაზა ხოფერიას 6 ქულა აქვს. 5-5 ქულა მოაგროვეს ბესო ხეცურიანმა (ქუთაისი) და კახა შალამბერიძემ (თბილისი), 4,5-4,5 ქულა — გოჩა ტყებუჩავამ, რომან სიჭინავამ (ორივე — ცხაკაია) და თამაზ ტაბატაძემ (თბილისი).

**ბექან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

# დამატებითი მატჩი გაარკვევს

ელიშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) — 12,5 ქულა, მარია ივანკა (უნგრეთი), მარია ვოისკა (ბულგარეთი) — 10-10, ჟუჟა ვერეცი, ილდიკო მადლი (ორივე — უნგრეთი) — 9,5-9,5. აი, ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა I-V ადგილები უნგრეთის საკურორტო ქალაქ ბალატონფელდვარში გამართულ ქალთა ზონალურ შეჯიბრებაზე. ჩვენ უკვე გამცნეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირის საგზური ვადამდე მოიპოვა კლიმოვამ. მას შემდეგ კიდევ სამი გამარჯვებული გახდა ცნობილი. რაც შეეხება IV-V ადგილებზე გასულ ვერეცსა და მადლს, მათ მეოთხე საგზურის მოსაპოვებლად დამატებითი მატჩი უნდა გამართონ (ოთხი პარტია).



# ევროპის საკლუბო ტურნირებზე

**კაუნასი.** კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ბოლო მატჩი ადგილობრივმა „ჟალგირისმა" გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს საფრანგეთის „ელან ბერნეს" (ორტეზი) მოუგო — 94:84 (40:43). საბჭოთა კავშირის ჩემპიონისთვის, რომელიც ბოლო შეხვედრებს თავისი წამყვანი კალათბურთელის ა. საბონისის გარეშე ატარებს, ამ გამარჯვებას მხოლოდ პრესტიჟული მნიშვნელობა ჰქონდა. „ჟალგირისმა" თასის გათამაშების ათი ფინალური შეხვედრიდან შვიდი წააგო და, ცხადია, მთავარი მოვლენების მიღმა დარჩა.

ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ კაუნასელი რ. კურტინაიტისი (23 ქულა) და „ელან ბერნეს" თავდამსხმელი ჰ. კარტერი (24 ქულა).

**პარიზი.** რიგის ტტტ-ს ქალთა კოლექტივმა ევროპის კალათბურთელთა ერთ-ერთი საკლუბო ტურნირი მოიგო. ლილიან რონკეტის თასის გათამაშების ფინალში მილანის „ფემინილი" დაამარცხა 87:80 (48:41) და [illegible] პრიზს დაეუფლა.

„სპორტპროგნოზი":
მე-10 ტირაჟის შედეგები
(7-11 მარტი)
1-2, 2-2, 3-1, 4-2, 5-X, 6-X, 7-X, 8-2, 9-1, 10-X, 11-2, 12-2, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი გუნდების წყვილთა რიგით ნომერს აღნიშნავს, მეორე კი შეხვედრის შედეგს. მეოთხე წყვილის (ლანჩხუთის „გურიისა" და კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა შეხვედრა) შედეგი კენჭისყრით გამოვლინდა.

# მოახლოვდა მეოთხედფინალები



[illegible] ჭიდაობაში, დღეს, 12 საათზე თბილისის სახელმწიფო ცირკში მერვედფინალური შეხვედრებია. ერთმანეთის პირისპირ დადგებიან: სოფელ ქისტაურის — (ახმეტა) — საფიჩხიას (ქუთაისი), ხვედურეთის (ქარელი) — დილმის (თბილისი), ბაზალეთის (დუშეთი) და მარტყოფის (გარდაბანი) ფალავნები.

მეოთხედფინალური შეხვედრები ჩატარდება 21 მარტს.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 14 მარტი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.45 (2)**; მსოფლიო თასი თხილამურებში — **12.00 (2)**; სპორტული პროგრამა: 1. მსოფლიო თასი თხილამურებში, 2. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დნეპრი" — „ზენიტი" (II ტაიმი), 3. საერთაშორისო შეჯიბრება წყალში ხტომაში, 4. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: ცსკა — „ჟალგირისი" (II ტაიმი) — **18.45 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში — **22.40 (1)**; საჭადრაკო გამოშვება — **1.00 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 14 მარტი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია" (ლანჩხუთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — **19.00.**

**საქართველოს რადიო. 14 მარტი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია" (ლანჩხუთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) — **20.00** (II ტაიმი).

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. 14 მარტი.** საქართველოს ჩემპიონატი. ოქროყანის საწვრთნელი ბაზა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი). დასაწყისი 13 ს., 15 მარტი. „დინამოს" ბაზა დიღომში. „დინამო-2"-„იმედი" (თბილისი) — „ივერია" (ხაშური). 15 ს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ცელეცაიკა - მკითხველი

**ცინცინატი** (აშშ). ფიგურულ მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი საბჭოთა წყვილმა (ეკატერინა გორდეევა და სერგეი გრინკოვი) მოიპოვა. ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონი კანადელი ბრაიან ორსერი გახდა. ვერცხლის მედალი ამერიკელ ბრაიან ბოიტანოს ერგო, ბრინჯაოსი — ალექსანდრე ფადეევს (სსრ კავშირი).

**ამსტერდამი.** ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კიევის „სპარტაკმა" ორჯერ დაამარცხა ადგილობრივი გუნდი (28:14 და 35:15) და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

**ჰავანა.** მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა აშშ-ს ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ ამხანაგური მატჩების სერია ჩაატარა და ხუთიდან სამი შეხვედრა მოიგო.

**მოსკოვი.** დაიწყო წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი — „გაზაფხულის მერცხლები". პირველი ოქროს მედალი ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის გდრ-ის წარმომადგენელმა ბრიტა ბალდუსმა მოიპოვა — 505,74 ქულა.

# ტატამზე ქალები არიან

**მოსკოვში** გაიმართა 8 მარტისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი ძიუდოში ქალთა შორის (პირველ ტურნირში, რომელიც შარშან ჩატარდა, ჩვენს ძიუდოისტებს მონაწილეობა არ მიუღიათ). საასპარეზოდ შეიკრიბნენ 13 რესპუბლიკის, მოსკოვის, ლენინგრადის და საბჭოთა ნაკრების ძიუდოისტები — სულ 168 ქალი. ამჯერად საპატიო მიზეზით საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში არ გამოსულა ნანა არათაშვილი. საქართველოს ძიუდოისტთა სპორტულ ღირსებას სპორტსაზოგადოება „დინამოს" გუნდი იცავდა. სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, 18 წლის ქეთინო ჩართოლანმა (56 კგ) სუფთა გამარჯვება მოიპოვა ლიტველ პაკუტინსკაიტესთან და იოშკაროლელ ბარიოვასთან შეხვედრაში. შემდეგ მან დაამარცხა (5:0) საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი მინსკელი გორნაშევიჩი, მეოთხე შეხვედრა კი შებოჭვით წააგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონ კაზაკოვასთან. მესამე ადგილისთვის ბრძოლა ქეთინომ კვლავ დიდი უპირატესობით წარმართა და სუფთა გამარჯვება მოიპოვა ტამბოევასთან. ჩვენი გუნდის სხვა წევრებმა რუსუდან კუპატაძემ და მაია ქოჩაშვილმა V-VI ადგილები დაიკავეს.

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს: გოდერძი ველიჯანაშვილმა, ლელა ნებიერიძემ და დავით მარტყოფლიშვილმა.

**ლევან ჯაგაძე.**

## კალეიდოსკოპი



### ფეხით... სამხრეთ პოლუსზე

პირველ ფრანგს, ცნობილ მოგზაურს, მედიკოსსა და სპორტსმენს ჟან-ლუი ეტიენს, რომელმაც გასულ წელს ფეხით დალაშქრა პლანეტის ჩრდილოეთი პოლუსი, გადაწყვეტილი აქვს 1989-90 წლისათვის სამხრეთ პოლუსსაც მიაღწიოს. მე ამ ლაშქრობაში ამერიკელი თანამგზავრი მეყოლება — თქვა ეტიენმა — კარგი იქნებოდა თუ საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელიც შემოგვიერთდებოდა და სამი დიდი სახელმწიფოს ქვეშევრდომები პირველად ერთად დავლაშქრავდით ისეთ ტერიტორიას, რომელიც საზღვრებით არაა დაყოფილი.

### ახალი სპორტული ჟურნალი

„შპორტსინტერნაციონალ" — ასე ჰქვია ახალ სპორტულ ჟურნალს, რომლის პირველი ნომერი თებერვლის ბოლოს გამოვიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. გამოცემა 300 გვერდიანია, ილუსტრირებული. ჟურნალი, რომელიც ჰამბურგში იბეჭდება, ყოველთვიურად 200 ათასი ტირაჟით გამოვა.

### სპეციალური სკოლები და კლუბები

ცურვა მონრეალის ოლიმპიადამდე არ იყო პოპულარული კანადაში, მაგრამ ოლიმპიადის შემდეგ სპორტის ამ სახეობას უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა ქვეყანაში. ბოლო ათი წლის განმავლობაში აქ შექმნეს ცურვის სპეციალური სკოლები და კლუბები, საერთო ფიზიკური მომზადების ყველა ცენტრთან გაიხსნა სპეციალური ჯგუფები. კანადის მოცურავეთა ახლანდელი ნაკრები გუნდი მწვრთნელების მიერ თავის დროზე ამ სკოლებში, კლუბებში და ჯგუფებში შერჩეული სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული.

### საოცარი ჟონგლიორი

36 წლის შვეიცარიელმა პაულ შულმა საოცარი გამძლეობისა და ბურთის ვირტუოზული ფლობის მაგალითი აჩვენა: 20 კილომეტრი მან ისე გაირბინა, რომ ბურთს თავიდან მკერდზე იგდებდა, მკერდიდან — მუხლზე და ა. შ. მთელი ამ 20 კილომეტრის მანძილზე პ. შულს ბურთი ერთხელაც არ დაუშვია მიწაზე, საოცარმა ჟონგლიორებამ 5 საათსა და 16 წუთს გასტანა.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

**18 მარტი**
**ფეხბურთი**

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალი, საპასუხო მატჩი:

**„ტორპედო"** (მოსკოვი, სსრ კავშირი) —
**„ბორდო"** (ბორდო, საფრანგეთი)

დასაწყისი 20 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 14 მარტს 10 საათიდან.

აბონემენტების მფლობელებს ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 16 და 17 მარტს.

სალაროები იმუშავებენ 10 საათიდან 19 საათამდე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-28, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06822